



თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 70

28 დეკემბერი 2020 წ.

ქ. თელავი

ლევან გალუსტიანის მიერ ქალაქ თელავში, კავკასიონის ქუჩაზე მდებარე 200 კვ.მ. არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის შექმნისას ნაკისრი სააუქციონო პირობის შესრულების ვადის გაგრძელების შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად,

1. მიეცეს თანხმობა თელავის მუნიციპალიტეტის მერს, მოქალაქე ლევან გალუსტიანს გაუგრძელოს ქ. თელავში, კავკასიონის ქუჩაზე მდებარე 200 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 53.20.31.414) შექმნისას ნაკისრი სააუქციონო პირობის (ობიექტის ექსპლუატაციაში შესვლა) შესრულების ვადა 1 წლით.
2. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.
3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია თელავის რაიონულ სასამართლოში, მისი ძალაში შესვლიდან 1 თვის ვადაში (მის: ქ. თელავი, დავით აღმაშენებლის გამზ. №41).

საკრებულოს თავმჯდომარე



არჩილი თხლაშიძე